გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამა

საკითხები გასაუბრებისათვის

გასაუბრება გულისხმობს აპლიკანტის მიერ წინასწარ შერჩეული თემის გარშემო მსჯელობას, საკუთარი დასკვნების წარმოდგენას და კითხვა-პასუხის ფორმატს

1. ახსენით მასობრივი კომუნიკაციის როლი საინფორმაციო საზოგადოებაში.
2. როგორ რეგულირდება მედიის საქმიანობა საქართველოში, საჭიროა თუ არა დამატებითი რეგულაცია?
3. რა არის დემოკრატია, როგორ ვლინდება და რომელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ხელშეწყობით ხორციელდება საზოგადოების ცხოვრებაში, რა როლს ასრულებს მედია მის განვითარებაში?
4. დაასახელეთ მსოფლიოს რამდენიმე წამყვანი დემოკრატიული ქვეყანა, ახსენით რატომ თვლით ასე.
5. განმარტეთ ტრადიციული და ახალი მედია; ტრადიციული მედია **VS** ახალი მედია.
6. აღწერეთ თანამედროვე საქართველოს მედიასივრცე, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.
7. აღწერეთ, თქვენი შეფასებით, საუკეთესო მედიაპროდუქტი საერთაშორისო მედიასივრცეში, რატომ თვლით მას საუკეთესოდ?
8. აღწერეთ, თქვენი შეფასებით, საუკეთესო მედიაპროდუქტი საქართველოს მედიასივრცეში, ახსენით რატომ მიიჩნევთ ასე.
9. დაასახელეთ, თქვენი შეფასებით, საუკეთესო ჟურნალისტი საქართველოს მედია სივრცეში, ახსენით რატომ თვლით ასე (გარეგნობა, იმიჯი, მანერა, მეტყველება, თემატიკა, ინტელექტი და ა.შ.).
10. რა ნიშნავს სიტყვის თავისუფლება? თქვენი აზრით, მსოფლიოს რომელ ქვეყანაშია ყველაზე მეტად დაცული სიტყვის თავისუფლება, რით გამოიხატება ეს (დაასახელეთ რამდენიმე ფაქტი)?
11. რა ნიშნავს საზოგადოებასთან ურთიერთობა, ახსენით საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მედიის ურთიერთმიმართების ასპექტები.

შენიშვნა: *პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ერთი სემესტრი ისწავლონ პარიზის ჟურნალიზმის უმაღლეს სკოლაში (ინგლისურად ან ფრანგულად) და, პროგრამის დასრულების შემდეგ, მიიღონ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტისა და პარიზის უმაღლესი სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და დიპლომი.*